



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**

**ოქმი N14**

ქ.ლანჩხუთი

18.07.2017 წელი

**საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატი უფროსი) მ/შ ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) ია მოქია.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში სხდომა მოწვეულ იქნა გამგებლის წინადადების საფუძველზე. დღევანდელი სხდომის დღის წესრიგი შედგება სამი საკითხისგან. პირველი გახლავთ, 2017 წელს

განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ განკარგულებაში ცვლილების შეტანა. მოწონებულ უნდა იქნას პროექტი, რომელიც შეეხება ნაგავდაძქერების მოწყობას მდინარე სუფსაზე. ხოლო დანარჩენი ორი საკითხი ეხება 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანას, კერძოდ, გამგებლის წინადადების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 30 ივნისის განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, ევროკავშირის პროექტის მონაწილეობით გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის ფარგლებში გამოეყო 17 514 ლარი, ვინაიდან ღონისძიება დაგეგმილია 23 ივლისს, მიზანშეწონილია გამოყოფილი თანხა დროულად აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ასევე გამგებლის წინადადებით, ბიუჯეტში შესატან სხვა, ინიცირებულ საკითხებთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგებლის ინფრასტრუქტურისა

და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია 2017 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა. კერძოდ, საკითხი შეეხება მდინარე სუფსაზე ნაგავდამჭერის მოწყობას. პროექტის ღირებულება შეადგენს 167 000 ლარს, ხოლო თანადაფინანსება არის 8 350 ლარი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ კომისიის მიერ რამდენიმე მოსმენით განხილულ და მოწონებულ იქნა როგორც მდინარე სუფსაზე ნაგავდამჭერის მოწყობასთან დაკავშირებული პროექტი, ასევე, სასწრაფო - სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობისთვის 161 000 ლარის გამოყოფის საკითხი.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;**

**მიღებულ იქნა განკარგულება N57 (18.07. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 30 ივნისის N1328 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ევროკავშირის პროექტის მონაწილეობით გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის ფარგლებში გამოეყო 17514 ლარი, რომელიც განხორციელდება სოც-კულტურული ღონისძიებების სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით. რადგან ამ ღონისძიებების გამართვა იგეგმება უახლოეს დღეებში, ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს აღნიშნული ცვლილების ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;**

**მიღებულ იქნა დადგენილება N 22 (18.07. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 6 ივლისის N1401 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 707 225 ლარი. აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 37272 ლარი ბუნებრივი რესურსების შემოსავლის გეგმის ზრდის ხარჯზე. სულ პროექტების ღირებულება შეადგენს 744 497 ლარს. საქართველოს მთავრობის 6 ივლისის N1394 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოიყო 1 010 000 ლარი. ცვლილებები უნდა აისახოს ბიუჯეტში.

შემოსულია წერილები მოთხოვნით, კერძოდ, ა(ა)იპ ტექ-სერვისი ითხოვს გაეზარდოს (სუბსიდირება) 20000 ლარით გარე განათების მარაგაწილებისათვის, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა ურთიერთობების ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს ესაჭიროება 4750 ლარი აუცილებელი გასაწევი ხარჯების დაფინანსებისათვის. ასევე, უნდა გაიზარდოს ბინათმშენებლობის არაფინანსური აქტივების მუხლი 1150 ლარით ნიგოთის ადმინისტრაციული სახლისათვის კონდიციონერის შესაძენად. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს სარეზერვო ფონდის 25900 ლარის შემცირების ხარჯზე, ბინათმშენებლობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 1350 ლარით და მის ხარჯზე გაიზარდოს ბინათმშენებლობის არაფინანსური აქტივების მუხლი 1350 ლარით.

ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლა ითხოვს სუბსიდირების გაზრდას 30000 ლარით. ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის მიერ შემოვიდა მოთხოვნა სუბსიდირების 7000 ლარით გაზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ ასევე ესაჭიროება დამატებით 25 000 ლარის გამოყოფა გარკვეული პროექტების დასასრულებლად.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ითხოვს სუბსიდირების გაზრდას 6500 ლარით, ხოლო ა(ა)იპ შემოქმედის ეპარქიის განვითარების ფონდი - დამატებით დაფინანსებას 20000 ლარით. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების წყარო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში ამ ეტაპზე არ არსებობს.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“ მიმდინარე წლის 11 ივლისის N209 წერილით ითხოვს წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების დაფარვის მიზნით 60000 ლარის გამოყოფას ვალდებულების კლებაში.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვისა და განხილვის მიზნით იწყება ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა, აქვთ თუ არა ა(ა)იპ - ებს შესაბამისი გეგმა ან მოთხოვნები ღონისძიებების მიხედვით გაწერილი.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** თქმით, ზოგადად ყველა ა(ა)იპ - ის აქვს მითითებული მიზნობრიობა საჭიროების მიხედვით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **ია ჩხაიძის** თქმით, საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ა(ა)იპ - ების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები არ არის დაზუსტებული. კერძოდ, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრისთვის გაცილებით მეტი თანხის გამოყოფა იქნება საჭირო, რადგან მოთხოვნაში მათ მიერ არ მოხდა წყალწმინდის საბავშვო ბაღის პრობლემის გათვალისწინება. 35 ბავშვი რჩება საბავშვო ბაღის გარეშე, რადგან სოფელ წყალწმინდაში მცხოვრები ბავშვები დადიოდნენ მალთაყვის საბავშვო ბაღში, მაგრამ შემდეგ მათ მიღებაზე ეთქვათ უარი. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ადგილზე ჩატარებულ იქნა მონიტორინგი. წყალწმინდის საბავშვო ბაღში შიდა რესურსის ხარჯზე არის საშუალება, რომ დარბაზი გადაკეთდეს და სასკოლო მზაობის პროგრამის მიხედვით დაემატოს ერთი სააღმზრდელო ჯგუფი, რისთვისაც აუცილებლად იქნება საჭირო დამატებით ფინანსების გამოყოფა. დეპუტატის თქმით, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დავით წულაძე უნდა ჩამოყალიბდეს რისთვის და რა რაოდენობის თანხა ჭირდება. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება საკითხის განხილვა.

დეპუტატის აზრით, ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლას ნამდვილად ჭირდება მხარდაჭერა, რადგან ბავშვებმა მიაღწიეს ბევრ წარმატებას. ისინი ასპარეზობენ როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ. ამასთან, ზოგი მათგანი არის საქართველოს ნაკრების წევრი. ამიტომ, მას აუცილებლად მიაჩნია ასეთი ბავშვებისთვის ხელის შეწყობა. სხვა ა(ა)იპ - ების მიერ დაფინანსების მოთხოვნასთან დაკავშირებით დეპუტატმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო მეტი კონკრეტიკა და დაზუსტებული ინფორმაცია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **ია ჩხაიძის** თქმით, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“ -ს მხრიდან წლების განმავლობაში ხდებოდა ფინანსების მოთხოვნა ვალების გასასტუმრებლად, მაგრამ თანხის გამოყოფის მიუხედავად, ისინი არა თუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა. დეპუტატი დაინტერესდა, ბოლოსდაბოლოს ვინ უნდა აიღოს ამასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა. ასევე, უნდა დაზუსტდეს, რა სახის ვალების დასაფარად ესაჭიროება კლუბს თანხა - ბანკის უზრუნველსაყოფად თუ სახელფასო დავალიანებისთვის. ამიტომ დეპუტატები, მისი თქმით ასეთ ბუნდოვან საკითხს მხარს ვერ დაუჭერენ.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ არ შეიძლება გამგობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა საკრებულოში გაუფილტრავად შემოიტანოს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მოხსენებითი ბარათი, რადგან ამ სამსახურს ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში აქვს დადებითი რეკომენდაციები, ზოგთან კი - უარყოფითი. დეპუტატის აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა შეთანხმდეს, ვის აფინანსებს და თან რა საშუალებით. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ მსჯელობა. მუნიციპალიტეტს არ აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ასე არამიზნობრივად იხადოს ათასობით ლარი.

ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლასთან დაკავშირებით დეპუტატი ეთანხმება საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, **ია ჩხაიძეს**. რაც შეეხება დანარჩენ ა(ა)იპ - ებს, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თქმით, იმიტომ ხდება მათი მხრიდან თანხების მოთხოვნა, რომ

როცა დამტკიცდა ხარჯთაღრიცხვა, მათთვის არ იქნა გათვალისწინებული მთელი წლის ბიუჯეტი. წლის მეორე ნახევარში კი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ბიუჯეტში ცვლილება ვერ განხორციელდება. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდიდან არ შეიძლება თანხების ამ მიზნით გამოყოფა, რადგან მას აქვს თავისი წესი, რომლის მიხედვითაც დადგენილია, თუ როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებული. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბდეს და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მთავრობის დადგენილებით ა(ა)იპ - ებს 10 % - ით შეუმცირდა დაფინანსება, რამაც გამოიწვია თანამშრომლების გარკვეული რაოდენობის სამსახურიდან დათხოვნა. მიუხედავად ამისა, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“-სთვის წლის განმავლობაში თითქმის 100 % -ით მოხდა დაფინანსების გაზრდა. ასეთი მიდგომის შედეგად, ხალხს მობეზრდა და შეძულდა ფეხბურთი. დეპუტატმა გამოთქვა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტში ისედაც ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი და უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. კარგი სოციალური პროექტების მიზანმიმართულად დაფინანსება შეიძლებოდა კლუბისთვის უკვე გამოყოფილი თანხით, რაც ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა ადგილობრივ მოსახლეობას სოციალურ - ეკონომიურ მდგომარეობას.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;**

**მიღებულ იქნა განკარგულება N58 (18.07. 2017 წელი).**

**ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
საკრებულოს ბიურო